არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ააიპ) „ერთად შევცვალოთ სამყარო“ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი (შემდგომ – ორგანიზაცია), რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
2. ეს წესდება წარმოადგენს ორგანიზაციის სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს ორგანიზაციის საქმიანობის წესებსა და მიმართულებებს და სავალდებულო ძალის მქონეა დამფუძნებლისა და წევრებისთვის.
3. ორგანიზაცია წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
4. ორგანიზაცია თავისი დამფუძნებლის, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია.
5. ორგანიზაციის საქმიანობის მიზანია:

   ა) საქველმოქმედო ფონდის ჩამოყალიბება და მართვა;

   ბ) სხვადასხვა გრანტებისა და დაფინანსების მოძიება ფონდის მიზნების განსახორციელებლად;

   გ) ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მათთვის სამედიცინო დახმარების ხარჯების დაფინანსების გზით;

   დ) ბავშვთა სკოლამდელი და დაწყებითი განათლების ხელშეწყობა მათი წიგნებით უზრუნველყოფით;

6. ორგანიზაციის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით საქმიანი წერილისა და ვებგვერდისთვის დადგენილი წესები.

მუხლი 2. ორგანიზაციის ქონება

1. ორგანიზაციის ქონება იქმნება მხოლოდ შემოწირულობებითა და გრანტებით მიღებული შემოსავლებისგან.
2. ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ საწესდებო მიზნების განხორციელებას. ორგანიზაცია არ გასცემს ხელფასებს, არ შეიძენს არანაირი სახის მომსახურებას და არ დააფინანსებს არანაირ სხვა საოპერაციო ხარჯებს.

მუხლი 3. ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა

1. ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.
2. ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტებისა და შემოწირულობების თაობაზე ინფორმაცია, მათ შორის, საბანკო ამონაწერები ყოველთვიურად განთავსდება ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. შემომწირველთა ინფორმაციის დამუშავება განხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.
4. დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია ყოველწლიურად განახორციელებს ორგანიზაციის საქმიანობის აუდიტირებას და აუდიტის დასკვნა განთავსებული იქნება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4. ორგანიზაციის მართვა

1. ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი.
2. ორგანიზაციას ჰყავს ერთი დამფუძნებელი, შესაბამისად, მმართველობითი ორგანოს უფლებამოსილებას ის ახორციელებს. დამფუძნებლის, როგორც მმართველობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.
3. დამფუძნებლის, როგორც მმართველობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

   ა) ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

   ბ) ორგანიზაციის წესდებაში ცვლილება/წესდების ახალი რედაქციის მიღება, შინაგანაწესის დამტკიცება;

   გ) ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა;

   დ) ორგანიზაციის ლიკვიდაცია.

მუხლი 5. კომისია

1. საქველმოქმედო ფონდისთვის ბენეფიციარების შერჩევის საკითხზე უფლებამოსილია კომისია.
2. კომისიის სხდომა ტარდება ყოველთვიურად. სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს სულ ცოტა 3 დღით ადრე, კომისიის წევრისთვის ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნის საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 2 დღის ვადაში კომისიის წევრებს შეუძლიათ სხდომის დღის წესრიგში დამატებების შეტანა.
3. კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს კომისიის წევრს, მის თავმჯდომარეს, დამფუძნებელს და ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე

უფლებამოსილ პირს. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ კონკრეტულ საკითხს მხარს დაუჭერს გამგეობის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

4. კომისიის სხდომის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს, ოქმს ადგენს და ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ამავე კრებაზე დამსწრე კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. კომისიის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც ზედიზედ 6 თვის განმავლობაში აქვს ფონდისათვის თანხა შეწირული.
6. კომისიის თითოეულ წევრს აქვს თანაბარი- თითო ხმის უფლება.
7. კომისიის წევრად მიღების, გასვლისა და გარიცხვის საკითხს წყვეტს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.
8. კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

   ა) ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, საქველმოქმედო ფონდის ბენეფიციარების შერჩევა;

   ბ) ორგანიზაციის ბენეფიციარების დასახმარებლად თანხების განაწილება;

   გ) კომისიის თავმჯდომარის არჩევა და გათავისუფლება;

მუხლი 6. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი. დირექტორი დამფუძნებლის მიერ ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.
2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. დირექტორი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ორგანიზაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.
4. უფლებამოსილების ფარგლებში დირექტორს აქვს უფლება ორგანიზაციის სახელით დადოს გარიგებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ, მიიღოს ორგანიზაციაში თანამშრომლები, გააფორმოს მათთან ხელშეკრულება და გადაწყვიტოს საკადრო საკითხები. დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ორგანიზაციის საქმეებს გაუძღვეს

მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს სადამფუძნებლო შეთანხმებით.

5. დამფუძნებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დირექტორი თანამდებობიდან შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე.
6. დირექტორს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ამ შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.
7. დირექტორი ვალდებულია წელიწადში ერთხელ დამფუძნებელს წარუდგინოს ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში.

მუხლი 7. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.
2. ორგანიზაციის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე, ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი.
4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს დამფუძნებელი. ორგანიზაციის ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონება მთლიანად მოხმარდება:
   ა) ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას;
   ბ) საქველმოქმედო მიზნებს;
5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებელს, წევრებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.